

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის მიმართულება

ნამზადების დაპროექტება და წარმოება  
/ ლაბორატორიული სამუშაოები /

პროფ. თ გერგეული

პროფ. ნ ბაქრაძე

თბილისი 2009 წ

“ნამზადების დაპროექტება და წარმოება” არის პირველი ნაწილი “მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის საფუძვლების” დისციპლინაში და წარმოადგენს ფუნდამენტულ საგანს “მანქანათმშენებლობის” სპეციალობის სტუდენტებისათვის.

ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიის ყველა ეტაპი ეფუძნება ნამზადების ხარისხსა და სიზუსტეს, ამიტომ თანამედროვე მანქანათმშენებელი წარმოება დიდ მოთხოვნებს უყენებს დეტალებისათვის საჭირო ნამზადების დაპროექტებისა და დამზადების ოპტიმალური ტექნოლოგიების შემუშავებას.

ნაშრომი შედგება 8 ლაბორატორიული სამუშაოსაგან სადაც სალექციო მასალის შესაბამისად განხილულია ყველა ძირითად საკითხი, სილაბუსის მოთხოვნების გათვალისწინებით. იგი განკუთვნილია ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები: ასოც. პროფ. მ. შვანგირაძე.

“საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009წ

**ლაბორატორიული სამუშაო № 1**  
**სხმული ნამზადის კონსტრუქციის ანალიზი ტექნოლოგიურობაზე**

**1. სამუშაოს მიზანი**

სხმული დეტალის კონსტრუქციის ანალიზი ტექნოლოგიურობაზე და ამის საფუძველზე დეტალების კორექტირებული კონსტრუქციის შემუშავება.

**2. დავალება**

- ნამზადის ცალკეული ელემენტების ჩამოსხმის შესაძლებლობის და მაღალი სარისხის სხმულის მიღების უზრუნველყოფის დადგენა.
- ნამზადის კონსტრუქციის ანალიზი და გამოვლენილი ნაკლოვანებების კორექტირება.
- ნამზადის კორექტირებული მუშა ნახაზის შედგენა და გაფორმება.

**3. მეთოდური მითითებები**

ნამზადის კონსტრუქციის ანალიზი გულისხმობს მისი ჩამოსხმის შესაძლებლობას გართულებების გარეშე, მექანიკური დამუშავების პროცესის შრომატევადობის შემცირებას და დამზადებული დეტალის სამუშავებლის ამასთან, აუცილებელია დეტალის დამზადების სერიულობის გათვალისწინება, ვინაიდან ის რაც შეიძლება არატექნოლოგიური იყოს ერთი ტიპის წარმოებისათვის, „შესაძლებელია სავსებით მისაღები იყოს სხვა ტიპის წარმოებისათვის.


ნამზადის კონსტრუქციის შემოწმებისას საჭიროა გავითვალისწინოთ გახსნის სიბრტყისადმი ნამზადის ცალკეული ზედაპირებისა და ელემენტების მდებარეობა, საჩამოსხმო დახრების, კედლების სისქისა და ზედაპირების შეუდლებათა რადიუსების ზომები, სიღრუებისა და სხვა რთული პროფილის ზედაპირების მიღებისათვის საჭირო კოპების გამოყენების შესაძლებლობები და ყალიბში მათი სამუშავებლის აუცილებლობა, გამყარების პროცესში

სხმულში ჩაჯდომის ნიუარებისა და ბზარების წარმოქმნის თავიდან აცილების ღონისძიებანი.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი კონსტრუქციული ცვლილებების შეტანა დეტალის მუშა ნახაზში, ცალკეული არასაპასუხისმგებლო, რთული ფორმის ზედაპირების გამარტივების მიზნით, აგრეთვე დაყალიბების და მექანიკური დამუშავების შრომატევადობის შემცირების მიზნით.

#### **4. სამუშაოს მსვლელობა**

ნახ. 1 ნაჩვენები ნამზადის ესკიზის მიხედვით ჩავატაროთ კონსტრუქციის ანალიზი ტექნოლოგიურობის თვალსაზრისით. კრონშტეინის მასალაა რუხი თუჯი, მისი დამზადება უნდა მოხდეს ქვიშის ყალიბში ჩამოსხმით. სხმული მესამე კლასის სიზუსტისაა.



### ნახ. 1.1. კრონშტეინი

1. საყრდენი ზედაპირი-1 დიდი ფართობისაა, რაც ზრდის მექანიკური დამუშავების შრომატევადობას. შრომატევადობის შემცირების მიზნით ამ ზედაპირის შუა ნაწილი საჭიროა იყოს რამდენადმე ჩაღრმავებული და საყრდენი ზედაპირები გათვალისწინებული იქნან მხოლოდ თათების ქვეშ.
2. სიღრუე-3 მიიღება კოპის საშუალებით. ამ შემთხვევაში კოპის დამაგრება ყალიბში შესაძლებელია მხოლოდ ცალი მხრიდან, რადგან სიღრუე მხოლოდ ერთი მხრიდანაა გახსნილი. ასეთი დამაგრებისას კოპი თხევადმა ლითონმა შეიძლება დასძრას ნორმალური მდებარეობიდან, რაც წუნის წარმოქმნის მიზეზი იქნება. კოპის საიმედო დამაგრების მიზნით საჭიროა სიღრუე იყოს გამჭოლი.
3. ნამზადის კედლები- 5 და 6 ქვედა ნაწილში დიდი სისქისაა რაც კოლოფისებური კონსტრუქციის შემთხვევაში არ ზრდის დეტალის სიმტკიცეს. ამავე დროს წარმოადგენენ ჩაჯდომის ნიუარების წარმოქმნის კერას.

მიზანშეწონილია, რომ ამ კედლების სისქე შემცირდეს ოპტიმალურ სიდიდემდე.

ქვიშის ყალიბებში ჩამოსხმული ნამზადებისათვის ოპტიმალური სისქე შეძლება განისაზღვროს ფორმულით

$$\delta = \frac{L}{200} + 4$$

სადაც  $L$  სხმულის მაქსიმალური გაბარიტული ზომაა.


მოცემულ შემთხვევაში

$$\delta = \frac{250}{200} + 4 = 5,25 \approx 6 \text{ მმ}$$

4. ზედაპირებს- 2 და 1 ნახაზის მიხედვით მოეთხოვებათ მექანიკური დამუშავება. ასეთი ორმხრივი დამუშავება მნიშვნელოვნად ასესტებს დეტალის თათების სიმტკიცეს. თათების სიმტკიცის შენარჩუნების მიზნით უმჯობესია, რომ სამაგრი ნახვრეტების- 12 ზედა ნაწილში გავითვალისწინოთ მცირე ჩაღრმავებები.

5. გინაიდან დაყალიბების გახსნის სიბრტყე მიზანშეწონილია, რომ ემთხვეოდეს სიმეტრიული სიბრტყე I-I, გახსნის სიბრტყისადმი მართობულ ზედაპირებზე 4-7-2-2 უნდა გვქონდეს დახრები.

დასკვნა: ჩატარებული ანალიზის შედეგად ნამზადის არსებულ კონსტრუქციაში შეგვაქვს შემდეგი კორექტივები:



ნახ. 12. ნამზადის კორექტირებული ნახატი

- შემცირდეს კედლების 5 და 6 სისქე 25 მმ-დან 6 მმ-მდე;
- დეტალში არსებული სიდრუე 3 შეიცვალოს გამჭოლი სიდრუით 9 (ნახ. 2).
- სამაგრი ნახვრეტების ზედა მხრიდან დაქმატოს წრიული ჩაღრმავებები – 8 და 10;
- შემცირდეს საყრდენი ზედაპირის -1 ფართობი. საყრდენი ზედაპირები განთავსდნენ უშუალოდ თათების ქვეშ (ნახ. 2 ზედაპირები 11 და 12);
- ზედაპირები 7 - 4 - 1 შესრულდეს საჩამოსხმო დახრების გათვალისწინებით.

# ლაბორატორიული სამუშაო № 2

## ყალიბის სასხმო სისტემის შერჩევა და გაანგარიშება

### **1. სამუშაოს მიზანი**

ნამზადის ჩამოსხმისათვის საჭირო ყალიბის სასხმო სისტემის შერჩევა და გაანგარიშება.

### **2. დაგალება**

- ა. ყალიბებისათვის გამოყენებული სასხმო სისიტემების ტიპების და მათი გამოყენების არის შესწავლა.
- ბ. სასხმო სისიტემის გაანგარიშების მეთოდიკის შესწავლა.
- გ. კონკრეტული სხმულისათვის სასხმო სისიტემის შერჩევა და გაანგარიშება.


### **3. მეთოდური მითითებები**

სასხმო სისიტემა ეწოდება არხებისა და რეზერვუარების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ყალიბში თხევადი ლითონის მიეწოდებას. სასხმო სისიტემის სწორად შერჩევა განაპირობებს ხარისხიანი ნამზადის მიღებას.

ნახ. 2.1. მოცემულია სასხმო სისტემის ტიპები. მათი შერჩევა წარმოებს სხმულის კონსტრუქციისა და მისი გაბარიტული ზომების მიხედვით. სასხმო სისიტემის ელემენტებია: 1 -სასხმო ჯამი; 2 -დგარმილი; 3 -წილის დამჭერი; 4 -მკვებავი არხი; 5 -სასულე.

ა. - ზედა სასხმო სისიტემა კონსტრუქციულად მარტივია, ადვილად განსახორციელებადია. აქვს ლითონის მცირე ხარჯი. მისი ნაკლია ის, რომ არ ხერხდება წილის სრული შეკავება, რაც იწვევს სხმულში არალითონური ჩანართებს. ასეთი სისტემები გამოიყენებიან დაბალი და მცირე მასის მქონე სხმულების მისაღებად.

ბ. - ქვედა ანუ სიფონური სასხმო სისიტემა უზრუნველყოფს ყალიბში გამდნარი ლითონის მდორედ მიწოდებას ქვემოდან ზემოთ. ეს სისტემა შედარებით რთულია, ზრდის ლითონის ხარჯს. ასეთი სისტემები გამოიყენებიან საშუალო და დიდი მასის მქონე სხმულების მისაღებად.



ნახ. 2.1. სასხმო სისიტემის ტიპები.

- ა. -ზედა სასხმო სისტემა; ბ. -ქვედა ანუ სიფონური სასხმო სისტემა;
  - გ. - გვერდითი სასხმო სისტემა; დ. - მრავალსართულიანი სასხმო სისტემა.
- 1- სასხმო ჯამი; 2- დგარმილი; 3- წილის დამჭერი; 4- ნეგებავი არხი; 5- სასულე; 6- სხმული.

გ. - გვერდითი სასხმო სისტემა გამორიცხავს ყალიბის დაზიანებას ჩამოსხმისას, თუმცა ზრდის ლითონის ხარჯს. იგი გამოიყენება შედარებით მცირე სიმაღლისა და საშუალო მასის მქონე ნამზადების მისაღებად.

**დ.** - მრავალსართულიანი სასხმო სისტემა გამოიყენება დიდი გაბარიტული ზომებისა და მძიმე სხმულების ჩამოსასხმელად. ამ სისტემით გამდნარი ლითონი ყალიბში მიეწოდება თანმიმდევრულად ქვემოდან ზემოთ და უზრუნველყოფს ყალიბის სრულ შევსებას. ეს სისტემა სხვებთან შედარებით რთულია.

კონსტრუქციულად სასხმო სისტემები შეიძლება იყვნენ შევიწროვებადი, როდესაც

$$F_{\text{ღ.გ}} > F_{\text{წ.ღ}} > F_{\text{ა.გ}}$$

და გაფართოვებადი, როდესაც

$$F_{\text{ღ.გ}} < F_{\text{წ.ღ}} < F_{\text{ა.გ}}$$

$F_{\text{ღ.გ}}$  - დგარმილის განიკვეთის ფართია;

$F_{\text{წ.ღ}}$  - წილის დამჭერის განიკვეთის ფართია;

$F_{\text{ა.გ}}$  - მკვებავის განიკვეთის ფართია.

შევიწროვებადი სასხმო სისტემები უკეთესად აკავებენ შლაკებს და ზრდიან სასხმო სისტემის არხებში თხევდი ლითონის გაგლის სიჩქარეს. ასეთი სისიტემები უპირატესად გამოიყენება ისეთი ლითონების შენადნობების ჩამოსხმისას, რომლებსაც ნაკლები მიღრეკილება აქვთ დაუანგვისადმი და წარმოქმნიან ჟანგეულების არამტკიცე აფსეს.

გაფართოვებადი სასხმო სისტემა ამცირებს ლითონის მოძრაობის სიჩქარეს და უზრუნველყოფს ყალიბის მდორედ შევსებას.

#### **4. სასხმო სისტემის გაანგარიშება.**

გაანგარიშებისას განისაზღვრება დგარმილის ან მკვებავი არხის განიკვეთის მინიმალური ფართი.

უმცირესი კვეთის ფართობი იანგარიშება ფორმულით

$$F_{\text{უმ}} = \frac{Q \times 100}{\tau \mu \gamma \sqrt{2gH_p}}$$

სადაც  $Q$  - მინიმალურ კვეთში გასასვლელი ლითონის მასაა, კგ;

$\tau$  - ჩამოსხმის ხანგრძლივობა, წმ.

$\mu$  - კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს სისტემის შიგნით ხახუნზე დანახარჯებს;

$\gamma$  - ოხევადი ლითონის სიმკვრივეა, გრ/სმ<sup>3</sup>

$H_p$  - დაწევების საანგარიშო სიმაღლეა, სმ;

$$Hp = H_0 - \frac{p^2}{2C}$$

$H_0$  - დაწევების მაქსიმალური სიმაღლეა ჩამოსხმის დასაწყისში, სმ;

$P$  - მანძილია სხმულის ზედა წერტილიდან მკვებავ არხამდე, სმ;

$C$  - სხმულის სიმაღლეა ყალიბში, მისი მდებარეობის მიხედვით, სმ;

$\tau$  - ჩამოსხმის ხანგრძლივობა იანგარიშება ფორმულით

$$\tau = S \times \sqrt[3]{\delta \times Q}$$

სადაც  $S$  - კოეფიციენტია, რომლის მნიშვნელობა დამოკიდებულია სხმულის კედლის სისქეზე.

$$\text{ფოლადებისათვის } S = 0,91 \div 1,7$$

$$\text{თუჯებისათვის } S = 1,7 \div 2,0$$

$$\text{სპილენბის შენადნობებისათვის } S = 2,0 \div 2,1$$


$$\text{ალუმინის შენადნობებისათვის } S = 1,7 \div 3,0$$

$\delta$  - სხმულის კედლის სისქეა, მმ.

უმცირესი კვეთის ფართობის განსაზღვრის შემდეგ, ვპოულობთ დანარჩენ კვეთებს,  $F_{\text{უმ.}} - \text{oს}$  მნიშვნელობა მიიღება მკვებავი არხისათვის, ხოლო გაფართოვებად სისიტემაში კი დგარმილისათვის.

## 5. სამუშაოს მსგალებლობა

თუჯის სხმულისათვის (ნახ. 2.2) შევირჩიოთ და გავიანგარიშოთ სასხმო სისტემა. სხმულის მასაა  $Q = 20$  კგ.



ნახ. 2 2. დეტალის მუშა ნახაზი

შევადგინოთ ყალიბის ესკიზური ნახაზი. უპირველეს ყოვლისა ვირჩევთ გახსნის სიბრტყეს. იგი მოცემული დეტალისათვის შეიძლება იყოს ნახვრეტის დერძის თანხვედრი ან მისი მართობული. ვირჩევთ მეორე ვარიანტს. სხმულის გაბარიტული ზომების მიხედვით მიზანშეწონილია გვერდითი სასხმო სისიტემის გამოყენება.


ყალიბის ესკიზი წარმოდგენილია ნახ. 2.3.

ვინაიდან სხმული თუჯისაა, სასხმო სისიტემა უნდა იყოს შევიწროვებადი, ე.ი.

$$F_{\text{აბ}} : F_{\text{წ.ღ}} : F_{\text{ღ.ა}} = 1,0 : 1,2 : 1,4$$

გავიანგარიშებთ უმცირეს პეტს

$$F_{\text{აბ}} = \frac{Q \times 100}{\tau \times \mu \times \gamma \times \sqrt{2g \times Hp}}$$



ნახ. 2.3 ყალიბის ესკოზი

ამ ფორმულაში შემავალი სიდიდეებია  $Q = 20 \text{ მ}^3/\text{s}$ ;  $\mu = 0,7$ ;  $\gamma = 62 \text{ ტ}/\text{მ}^3$

$$\tau = S \times \sqrt[3]{\delta \times Q} = 2,0 \times \sqrt[3]{10 \times 20} = 12 \text{ წ}$$

$$H_p = H_0 - \frac{P^2}{2C} = 20 - \frac{15^2}{2 \times 30} \approx 16 \text{ მ}$$

საბოლოოდ

$$F_{\text{ა.3}} = \frac{20 \times 100}{12 \times 0,7 \times 6 \times \sqrt{2 \times 1000 \times 16}} \text{ ტ}^3$$

$$F_{\text{ა.3}} = F_{\text{ა.3}} = 2,25 \text{ ტ}^3$$

$$F_{\text{წ.ღ}} = F_{\text{ა.3}} \times 1,2 = 2,7 \text{ ტ}^2$$

$$F_{\text{ღ.ღ}} = F_{\text{წ.ღ}} \times 1,4 = 3,7 \text{ ტ}^2$$

**ლაბორატორიული სამუშაო № 3**  
**ნამზადის მიღება ცენტრიდანული ჩამოსხმით**

**1. სამუშაოს მიზანი**

ცენტრიდანული ჩამოსხმის მეთოდით ნამზადების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის შესწავლა.

**2. დავალება**

- ა. ცენტრიდანული ჩამოსხმის თეორიული საფუძვლების შესწავლა;
- ბ. ლაბორატორიული ცენტრიდანული ჩამოსხმის დანადგარის კონსტრუქციისა და მისი მოქმედების პრინციპების გაცნობა;
- გ. ნამზადის ჩამოსხმა ცენტრიდანული ჩამოსხმის დანადგარზე.

**3. სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო მოწყობილობა და მასალა**


1. უნივერსალური ცენტრიდანული ჩამოსხმის ლაბორატორიული დანადგარი,
2. დუმელი ჩამოსასხმელი ლითონის გასადნობად,
3. ტიგელი თხევადი ლითონის მბრუნავ ყალიბში ჩასასხმელად.

**4. მეთოდური მითითებები**

ცენტრიდანული ჩამოსხმა სხმული ნამზადების წარმოების ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც ძირითადად გამოიყენება ბრუნვითი ფორმის მქონე ნამზადების მისაღებად. მბრუნავ ყალიბში ჩამოსხმულ ლითონზე მოქმედებენ ცენტრიდანული ძალები, რომელთა ზეგავლენითაც თხევადი ლითონი ეკვრის ყალიბის ზედაპირს. ლითონის თავისუფალ ზედაპირზე გაციებული ნაწილაკები ამ ძალების ურთიერთქმედებით, როგორც უფრო მკვრივი, გადაადგილდებიან პერიფერიისკენ და წარმოქმნიან საკმაოდ მკვრივ სრტუქტურას ფორიანობის გარეშე. ყალიბი შეიძლება ბრუნავდეს ვერტიკალური, ასევე პორიზონტალური ან დახრილი დერძის ირგვლივ. ყალიბს ამზადებენ როგორც ლითონისაგან, ასევე ქვიშიანი საყალიბები ნარევისაგან. ლითონის ყალიბები ჩამოსხმის წინ

მიზანშეწონილია გავახუროთ  $150 - 200^{\circ}C$ -მდე, რაც აუმჯობესებს სხმულის ხარისხს.

ჰორიზონტალური ბრუნვის დერძის მქონე მანქანები გამოიყენება ისეთი ნამზადების მისაღებად, რომელთა სიგრძე 3-ჯერ და უფრო მეტად აღემატება ნამზადის დიამეტერს. მოკლე სიგრძის ბრუნვითი ტანის მქონე ნამზადების მისაღებად კი იყენებენ ვერტიკალური ბრუნვის დერძის მქონე ცენტრიდანული ჩამოსხმის მანქანებს.



ნახ. 3.1. ცენტრიდანული ჩამოსხმის სქემები

ნახ. 3.1. წარმოდგენილია ცენტრიდანული ჩამოსხმის სქემები: გამდნარი ლითონი 1 მიეწოდება მბრუნვაზე ყალიბის 2 არეში და ცენტრიდანული ძალების ზეგავლენით შემოეკვრება ყალიბის შიგა ზედაპირს. ბრუნვის დროს თხევადი ლითონის ნებისმიერ ნაწილაკზე მოქმედებენ გრავიტაციული  $P = mg$  და ცენტრიდანული  $Q = m\omega^2 r$  ძალები.

მოცემულ ფორმულებში

$g$  – სიმძიმის ძალის აჩქარება;

$m$  – ყალიბში ჩასხმული ლითონის მასაა, მოცემული ნადნობის მასა;

$\omega$  – ყალიბის ბრუნვის კუთხური სიჩქარე;

$r$  – ნამზადის გარე ზედაპირის რადიუსი.

ფარდობას

$$K = \frac{Q}{P} = \frac{m\omega^2 r}{mg} = \frac{\omega^2 r}{g}$$

ეწოდება გრავიტაციული კოეფიციენტი, რომელიც იღება არანაკლები  $K = 30 \div 50$  იგი გვიჩვენებს თუ რამდენჯერ მეტია ცენტრიდანული ძალების ველში განდნარი ლითონის მასა, გრავიტაციული ძალების ველთან შედარებით. რაც უფრო მეტია  $K$  კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო მჭიდროა სხმულის სტრუქტურა.

ცენტრიდანული ჩამოსხმის დადებით მხარეს მიეკუთვნება:

1. მაღალი მწარმოებლობა,
2. სხმულის მაღალი ხარისხი (ვარგისი სხმულის გამოსავლიანობა შეადგენს 90 - 95 %).
3. ღრუ ტანიანი სხმულების მისაღებად საჭირო არ არის კოპის გამოყენება,
4. ლითონის ჩასხმა ყალიბში სწარმოებს თავისუფალი ჭავლის სახით, რაც გამორიცხავს სასხმო სისტემის გამოყენებას.

ჩამოსხმის ამ მეთოდს აქვს ნაკლიც:

1. სხმულის კომპონენტების მომატებული ლიკვაცია, რის გამოც ყველა შენადნობი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცენტრიდანული ჩამოსხმისათვის.

2. თავისუფალ ზედაპირზე თავს იყრიან არალითონური მინარევები, რის გამოც ნამატი მექანიკურ დამუშავებაზე აიღება მომატებული სიდიდის.
3. გერტიკალური ბრუნვის ღერძის მქონე მანქანებში ჩამოსხმისას ნამზადის თავისუფალი ზედაპირი მიიღება პარაბოლური ფორმისა, რაც ასევე ზრდის ნამატის სიდიდეს.

ლიკვაციას იწვევს შენადნობში არსებული სხვადასხვა სიმკვრივის კომპონენტები. ასე მაგალითად, ტყვიის შემცველი ბრინჯაოს ჩამოსხმისას, ტყვიის ნაწილაკები, როგორც უფრო მძიმე გადაადგილდებიან პერიფერიისაკენ, ხოლო სპილენძის ნაწილაკები, როგორც შედარებით მსუბუქი, გამოიდევნებიან თავისუფალი ზედაპირისაკენ.

ლიკვაციის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ყალიბების ბრუნვის სიჩქარე მინიმუმადე იქნას დაყვანილი.


ყალიბის მინიმალური ბრუნვათა რიცხვი შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$n_{\min} = K_1 \times \frac{30}{\pi} \sqrt{\frac{g}{r_0}}$$

სადაც  $K_1 = 1,5 - 2$ ;  $r_0$  – სხმულის შიდა დიამეტრია.

ეს ფორმულა მიღებულია იმ მოსაზრებით, რომ ცენტრიდანული ძალის სიდიდე მეტი იყოს სიმძიმის ძალაზე  $1,5 \div 2$  ჯერ.

ნახ. 3.2. წარმოდგენილია ცენტრიდანული ჩამოსხმის უნივერსალური ლაბორატორიული დანადგარის პრინციპიალური სქემა. დგარზე -1 სახსრულად, ღერძის -3 საშუალებით, დამაგრებულია კორპუსი -2, რომელშიც ჩადმულია საკისრებზე -6 და -9 დაყენებული დოლი -7. ეს უკანასკნელი ქუროთი -4 დაკავშირებულია კორპუსზე -2 დამაგრებულ ელექტროძრავასთან -5. დოლში იდგმება ყალიბი -8. ელექტროძრავიდან -5 ბრუნვითი ძრაობა ქუროს -4 გადაეცემა დოლს -7 და მასში ჩადგმულ ყალიბს -8 დარის -11 საშუალებით. გამდნარი ლითონი ისხმება ყალიბში-8 და ცენტრიდანული ძალების ზემოქმედებით ეკვრის ყალიბის შიგა ზედაპირს. ლითონის გამყარების შედეგად



**ნახ. 3.2. ცენტრიდანული ჩამოსხმის პრინციპიალური სქემა.**

მიიღება ნამზადი -12, რომლის ამოდებისთვის საჭიროა სახურავის -10 მოხსნა. კორპუსის -2 შემობრუნებით დერძის -3 ირგვლივ, დოლი -7 შეიძლება დავაყენოთ ვერტიკალურად და ნამზადი ჩამოვასხათ ვერტიკალური ბრუნვის დერძის მქონე ყალიბში -8.

მას შემდეგ, როდესაც სტუდენტი გაეცნობა ცენტრიდანული ჩამოსხმის თეორიულ ნაწილს და შეისწავლის ლაბორატორიული დანადგარის კონსტრუქციასა და მოქმედების პრინციპს, შეიძლება განხორციელდეს ლაბორატორიული სამუშაოს ექსპერიმენტული ნაწილი – ნამზადების ჩამოსხმა.

## **5. სამუშაოს მსვლელობა**

1. ტიგელში განთაგსდეს ალუმინის ჯართი;
2. ჩაიდგას ტიგელი ღუმელში;
3. გადნეს ალუმინის ჯართი;
4. ჩაირთოს ცენტრიდანული ჩამოსხმის დანადგარი;
5. ჩაისხას გამდნარი ლითონი მბრუნავ ყალიბში;
6. გამყარების პერიოდის შემდეგ გაჩერდეს ცენტრიდანული ჩამოსხმის დანადგარი;
7. განთავისუფლდეს სხმული ყალიბიდან;
8. გაიჭრას სხმული და შემოწმდეს ჩამოსხმის ხარისხი - ფორებისა და ბზარების არსებობა;

## ლაბორატორიული სამუშაო № 4

### ნამზადის მიღება კოკილში ჩამოსხმით

#### **1. სამუშაოს მიზანი**

ლითონის ყალიბის კონსტრუქციის გაცნობა და კოკილში ნამზადის ჩამოსხმის ტექნოლოგიური პროცესის შესწავლა.

#### **2. დაგალება**

- ა. ლითონის ყალიბის კონსტრუქციათა გაცნობა.
- ბ. ლითონის გამოდნობა ელექტრო ღუმელში.
- გ. კოკილის მომზადება ჩამოსხმისთვის.
- დ. კოკილში ნამზადის ჩამოსხმა.

#### **3. სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო მოწყობილობა და მასალა**

- ა. ელექტროდუმელი.
- ბ. ლითონის გამოსადნობი ტიგელი.
- ც. გამოსადნობი მასალა (ალუმინის ჯართი).
- დ. ლითონის ყალიბი (კოკილი).


#### **4. მეთოდური მითითებები**

კოკილი წარმოადგენს ლითონის ყალიბს, რომელიც გამოიყენება მსხვილსერიულ და მასობრივი წარმოების პირობებში ნამზადის ჩამოსასხმელად ძირითადად ფერადი ლითონებიდან.

იმის გამო, რომ სითბოგადაცემა ლითონის ყალიბსა და სხმულს შორის ~ 10-ჯერ უფრო ინტენსიურია ქვიშის ყალიბებთან შედარებით, ნადნობის სწრაფი გაცივების თავიდან აცილების მიზნით და შესაბამისად ყალიბის სრული შეგსებისათვის, ჩამოსხმის წინ კოკილს ახურებენ ~ 200-300°C-მდე. ჩამოსხმული ნამზადი კოკილიდან ამოაქვთ ცხელ მდგომარეობაში და აცივებენ ჰაერზე ან სპეციალურ კამერაში. ეს გამორიცხავს სხმულში დაძაბულობის და ბზარების წარმოქმნის შესაძლებლობას.

კოკილში ჩამოსხმული ნამზადების უპირატესობას წარმოადგენს მაღალი სიზუსტე და მცირე ნამატები მექანიკური დამუშავებისთვის რაც ამცირებს ლითონის დანახარჯსა და მექანიკური დამუშავების შრომატევადობას.

კოკილი შეიძლება იყოს მთლიანი ან შედგენილი, რაც ჩამოსასხმელი ნამზადის კონსტრუქციაზეა დამოკიდებული. კოკილის სასხმო სისტემები არ განსხვავდება ქვიშის ყალიბებში გამოყენებული სასხმო სისტემებისასგან დანიშნულებითა და გაანგარიშების თვალსაზრისით. იმისათვის რათა შეამცირონ ნადნობის გაცივების პროცესი, სასხმო სისტემების არხებს ფარავენ 1-მმ-მდე სისქის საღებავის ფენით. საღებავით ფარავენ აგრეთვე კოკილის მუშა ზედაპირსაც, რაც ზრდის მათ მედეგობას.



ნახ. 4.1. კოკილის აწყობის ესკიზები

## **5. სამუშაოს მსვლელობა**

1. მოცემული კოკილის კონსტრუქციის გაცნობა;
2. ლითონის გამოდნობა ღუმელში;
3. კოკილის წინასწარი გახურება ღუმელში  $150\text{--}200^{\circ}$  -მდე;
4. კოკილის გახსნა და სხმულის ამოღება;
5. ლაბორატორიული სამუშაოს გაფორმება:
6. შიდაწვის ძრავის დგუშისათვის ნამზადის ჩამოსასხმელად
7. კოკილის ესკიზის აგება (ნახ. 4.1);
8. კოკილის აწყობის ტექნოლოგიის ესკიზების გამოხაზვა.

**ლაბორატორიული სამუშაო № 5**  
**ნამზადის მიღება კოკილში შტამპვა-გამოჭიმვით**

**1. სამუშაოს მიზანი**

ფურცლოვანი მასალიდან შტამპვა-გამოჭიმვით ნამზადების მიღების ტექნიკური პროცესის შესწავლა.

**2. დავალება**

- ა. შტამპვა-გამოჭიმვის მეთოდის გაცნობა;
- ბ. გამოსაჭიმი შტამპის კონსტრუქციის შესწავლა;
- გ. სამუშაოს ჩატარების პირობებიდან გამომდინბარე საჭირო პარამეტრების შერჩევა და გაანგარიშება;
- დ. ნამზადის მიღება შტამპვა-გამოჭიმვით.


**3. სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო მოწყობილობა და მასალა**

1. ვერტიკალური ჰიდრაულიკური წერტილი.
2. გამოსაჭიმი შტამპი.
3. ფურცლოვანი ლითონის მასალა.

**4. მეთოდური მითითებები**


ცივად შტამპვა ითვალისწინებს ფურცლოვანი მასალებიდან დრუ ტანიანი ნამზადების მიღებას სპეციალურ გამოსაჭიმ შტამპებში. გამოჭიმვა შეიძლება განხორციელდეს ერთი ან რამოდენიმე გადასვლით.

ჭიქისებრი ფორმის ნამზადის მიღების სქემა მოყვანილია ნახ. 5.1. სადაც ნამზადის მიღება ხორციელდება მასალის სისქის თანდათანობითი შემცირებით. სამი გადასვლით მიიღება საჭირო ფორმისა და ზომის ნამზადი.




ნახ. 5.1. ნამზადის გამოჭიმვა სამი გადასვლით

ნახ. 5.2. წარმოდგენილია გამოჭიმვის სქემა კედლის სისქის შემცირების გარეშე. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნამზადისა და მატრიცებს შორის გვერდითი დრეჩო  $\delta$  რათა არ მოხდეს ნამზადის კედლის სისქის შემცირება გამოჭიმვისას.



ნახ. 5.2. ნამზადის გამოჭიმვის სქემა დაჭრის გარეშე

გამოჭიმვის ერთ ერთ ნაკლს წარემოადგენს ნაოჭების წარმოქმნა, რაც მოსალოდნელია მაშინ, როდესაც მისადები ნამზადის სიმაღლე აღემატება მის დიამეტრს. ნაოჭების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა მასალა იყოს დამაგრებული, როგორც ეს ნახ. 5..3.-ზეა ნაჩვენები.



ნახ. 5.3. ნამზადის დაჭეით გამოჭიმვის სქემა

მოჭერის ძალა არ უნდა იყოს დიდი, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ნამზადის ძირის მოწყვეტა. მასალას უნდა შეეძლოს მიჰყევს პუანსონს.

გამოჭიმვის პროცესის განსახორციელებლად საჭიროა ნამზადის მუშა ნახაზის შესწავლა, მისი კონსტრუქციისა და მასალის შესამაბისად საჭირო სისქის ფურცლოვანი მასალის შერჩევა და ნამზადის დიამეტრის  $D_a$  განისაზღვრა.

გამოჭიმვის პროცესი ხასიათდება გამოჭიმვის კოეფიციენტით  $m$

$$m = \frac{d_6}{D_a}$$

სადაც  $d_6$  - მისადები ნამზადის გარე დიამეტრია, მმ.

$D_a$  - მასალის დიამეტრია, მმ.

ნამზადის მისაღები საჭირო მასალის დიამეტრიც შეიძლება განისაზღვროს ფორმულით

$$D_{\vartheta} = 1,13\sqrt{F}$$

სადაც  $F$  მისაღები ნამზადის ზედაპირის ფართობია.

ბრტყელძირიანი ნამზადების გამოჭიმვისას საწყისი მასალის საჭირო დიამეტრი იანგარიშება ფორმულით

$$D_{\vartheta} = \sqrt{d_n + 4d_n h}$$

სადაც  $d_n$  - მისაღები დეტალის გარე დიამეტრია, მმ.

$h$  - ცილინდრული ნაწილის სიმაღლეა, მმ.

გამოჭიმვის კოეფიციენტის მნიშვნელობა ზოგიერთი ლითონისათვის მოყვანილია ცხრილში 1.

ცხრ. 1.

მასალა	გამოჭიმვის კოეფიციენტი $m$	
	პირველი გამოჭიმვისათვის	შემდგომი გამოჭიმვისათვის
თითბერი, სპილენძი, ვერცხლი	0,50 – 0,52	0,80 – 0,83
ალუმინი	0,55 – 0,60	0,80 – 0,83
რბილი ფოლადი	0,56 – 0,58	0,80 – 0,83

რადიალური დრეჩო პუჯანსონსა და მატრიცას შორის აიღება

$$\delta_h = (1,35 - 1,55) \times S$$

აქ  $S$  - მასალის სისქეა, მმ.

ნაოჭების წარმოქმნის საწინააღმდეგო დაჭერა უნდა განხორციელდეს თუ

$$D_{\vartheta} + d_6 \geq 22 \times S$$

$$\frac{S}{D_{\vartheta}} \times 100 \leq 4,5 \times (1 - m)$$

გამოჭიმვის საჭირო ძალა ბრუნვითი ტანის დეტალებისათვის განისაზღვრება ფორმულით

$$P = \beta \times S \times \sigma_{\text{ფრ}} \times \pi \times d_{\text{ჯგ.ძ}}$$

სადაც  $d$  - არის ნახვრეტის დიამეტრი მატრიცაში;

$S$  - მასალის სისქეა, მმ;

$\sigma_{\text{ფრ}}$  - მასალის დროებითი წინადობაა;

$\beta$  - კოეფიციენტია, რომელიც დაკავშირებულია გამოჭიმვის პოეფიციენტთან და ითვალისწინებს გამოსაჭირო მასალის კედლებში ძაბვებს. მნიშვნელობა მოყვანილია ცხრილში 2.

## ცხრილი 2

გამოჭიმვის კოეფიციენტი $m$	0.55	0.575	0.6	0.625	0.65	0.675	0.7	0.725	0.8
$\beta$	1	0.93	0.86	0.79	0.72	0.66	0.6	0.55	0.4

ნაოჭების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად, მასალის დაჭერით გამოწელვის განხორციელების დროს, გამოჭიმვის ძალა იქნება:

$$P_{\vartheta} = P + Q$$

სადაც  $P$  - გამოჭიმვის ძალაა მასალის დაჭერის გარეშე, კგძ.

$Q$  - მასალის დაჭერის ძალაა;

$$Q = F + q$$

*F* - მასალის ის ფართობია, რომელიც მოჭერილია მატრიცასა და დამჭერს შორის;

*q* - ხვედრითი ძალაა, რომლის მნიშვნელობა დამოკიდებულია მასალაზე. მისი მნიშვნელობები მოცემულია ცხრ. 3.

ცხრილი 3.

მასალა	ფლ. 30	თეთრი	სპილენბი	ალუმინი	თითბერი	რბილი	ლითონი
<i>q</i>	$2.5 \div 0.33$	$2.5 \div 0.3$	$1.0 \div 1.5$	$0.8 \div 1.2$	$1.5 \div 1.8$	$2 \div 3$	$3 \div 4.5$

ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ, სტუდენტებს ეძლევათ კონკრეტული დეტალის ნახაზი, რომლის მიხედვითაც ახდენენ საჭირო პარამეტრების გაანგარიშებას, ადარებენ მიღებულ შედეგებს არსებულ შტამპის შესაბამის პარამეტრებს და ატარებენ რეალურ სამუშაოს მოცემული ნამზადის მისაღებად.

## 5. სამუშაოს მსვლელობა

- გამოსაჭირო შტამპის კონსტრუქციის გაცნობა;
- გამოსაჭირო დეტალის ზომების შესაბამისად ნამზადის მომზადება;
- პიდრავლიკურ წნევზე მოცემული შტამპით ნამზადის გამოჭირვა;
- მისაღები დეტალის ზომების შემოწმება, მუშა ნახაზის შესაბამისად;
- ლაბორატორიული სამუშაოს გაფორმება:
  - შტამპის ესკიზი;
  - ნამზადის ესკიზი, ზომების აღნიშვნით;
  - ტექნიკური პროცესის ესკიზები.

**ლაბორატორიული სამუშაო № 6**  
**ნამზადის წარმოება შტამპვა-ამოჭრით**

**1. სამუშაოს მიზანი**

ფურცლოვანი მასალიდან შტამპვა-ამოჭრის მეთოდით ნამზადების მიღების ტექნიკური პროცესის შესწავლა.

**2. დაგალება**


- ა. შტამპვა – ამოჭრის ტექნიკური პროცესის თეორიული საფუძვლების შესწავლა,
- ბ. ამოსაჭრელი შტამპის კონსტრუქციისა და მოქმედების პრინციპის შესწავლა.
- გ. მოცემული შტამპით ნამზადის ამოჭრა.

**3. სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო მოწყობილობა და მასალა**

1. ვერტიკალური პიდრავლიკური წნევი **II 474 A**
2. გამოსაჭრელი შტამპი,
3. ფურცლოვანი ნამზადი.

**4. მეთოდური მითითებები**

შტამპვა-ამოჭრა ცივად შტამპვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ნახ. 6.1. ნაჩვენებია, ფურცლოვანი მასალისაგან შტამპვა-ამოჭრის მეთოდით, ნამზადის მიღების ტექნიკური პროცესის სტადიები. პირველ სტადიაზე, პუანსონის -1 ლითონში შეჭრისას და მასალის ნაწილის მატრიცის ნახვრეტში ჩაწერებისას, სწარმოებს ლითონის ზედაპირის ჩაღუნვა მჭრელი პირის ირგვლივ. პუანსონის შემდგომი გადაადგილებისას იწყება მასალის პლასტიკური დეფორმაციის სტადია, რომლის დროსაც მატულობს ლითონის ჩაღუნვა გაჭიმვის შედეგად პუანსონის მჭრელი პირის ირგვლივ.



ნახ. 6.1. ამოჭრის პროცესის სტადიები;

1 - პუანსონი; 2 - ფურცლოვანი მასალა; 3 - მატრიცა; 4 - ნამზად.

პლასტიკური დეფორმაციის გამო ლითონი განიცდის განმტკიცებას. ამ სტადიის ბოლოს ამოჭრის ძალა მკვეთრად იზრდება, ხოლო ძაბვათა სიდიდე პუანსონის მჭრელი პირის ირგვლივ აღწევს ჭრისადმი წინაღობის მნიშვნელობას. მესამე სტადიის დასაწყისისას მატრიცის, ხოლო შემდეგ კი პუანსონის მჭრელი წიბოს ირგვლივ წარმოიქმნება მიკრობზარები. ისინი სწრაფად ვრცელდებიან ლითონის სიღრმეში და უერთდებიან ერთმანეთს, რის შედეგადაც ნამზადი სცილდება ფურცლოვან მასალას. ამ მომენტში ამოჭრის ძალა მკვეთრად\_მცირდება. უნდა აღინიშნოს, რომ ნამზადის მოცილება ფურცლოვანი მასალიდან ხდება უფრო ადრე, ვიდრე პუანსონი შეაღწევს ლითონში ფურცლის სისიქის ტოლ სიღრმეზე. ასც უფრო ხისტია მასალა, მით უფრო ნაკლებ პლასტიკურ დეფორმაციას

განიცდის იგი და შესაბამისად უფრო ადრე იწყება ნამზადის მოწყვეტა ფურცლიდან.

ფურცლოვან ნამზადის მოწყვეტის მომენტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პუანსონისა და მატრიცას შორის არსებული ღრეჩოს სიდიდეზე. მცირე ღრეჩოს შემთხვევაში კლებულობს ლითონის ჩაღუნვა და მცირდება მასალაში პუანსონის შეჭრის სიღრმე. გარდა ამისა, ღრეჩოს სიდიდე გავლენას ახდენს ნამზადის ხარისხზე. დიდი ღრეჩოს შემთხვევაში მატულობს ფხაურების სიდიდე და განმტკიცებული ლითონის ფენა ნამზადის პერიმეტრის ირგვლივ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ლითონის რღვევა ნამზადის შემდგომი დამუშავების დროს (მაგ. ღუნვის, გამოჭიმვის და ა.შ. დროს).

ცხრილში №1 მოცემულია ღრეჩოს ოპტიმალური მნიშვნელობები პროცენტებში, ფურცლის  $S$  სისქისაგან დამიკიდებულებით, სხვადასხვა მექანიკური თვისებების მქონე ლითონებისთვის.

ცხრილი №1

ფურცლის სისქი $S$ მმ	მასალის $\sigma_b$ , მპა			
	200-მდე	200-400	400-600	600-ზე მეტი და ნაწრობები $HRC 45-50$
$\delta_b$ ღრეჩოს სიდიდე % ფურცლის $S$ სისქისაგან				
0,1 - 0,5	3 - 5	5 - 7	7 - 9	10 - 12
0,6 - 1,5	4 - 6	6 - 8	8 - 10	11 - 13
1,8 - 3,0	5 - 7	7 - 9	9 - 11	12 - 14
3,5 - 5,5	7 - 10	9 - 12	11 - 14	14 - 16
6,0 - 10	10 - 13	12 - 15	14 - 17	17 - 20
11 - 16	13 - 16	15 - 18	15 - 20	20 - 23

ფურცლოვანი მასალიდან ნამზადის ამოჭრისათვის საჭირო ძალა შეიძლება გავიანგარიშოთ ფორმულით:

$$P = L(S - X) \times K \times \sigma_b$$

სადაც  $L$  - ამოსაჭრებული ნამზადის პერიმეტრის სიგრძეა,

$S$  - ფურცლოვანი მასალის სისქეა,

$X$  - პუანსონის მასალაში სეჭრის სიდრმეა,

$K$  -  $1,1 \div 1,3$  კოეფიციენტებია, რომელიც ითვალისწინებს იარაღის ცვეთასა და მასალის მექანიკური თვისებების უთანაბრობას,

$\sigma_{\text{დრ}}$  - მასალის დროებითი წინადობის ზღვარი.

თუ მასალაში პუანსონის შეჭრის სიდიდეს მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ ძალის საანგარიშო ფორმულა იქნება

$$P = L \times S \times K \times \sigma_{\text{დრ}}$$

## 5. სამუშაოს მსვლელობა

- 1) ნამზადის მუშა ნახაზის მიხედვით განისაზღვროს მისი  
პერიმეტრი  $L$  ( $d_{\text{ნაზ}}=26$  მმ);
- 2) შეირჩეს ფურცლოვანი მასალის სისქე (მივიღოთ  $S=0,36$  მ<sup>2</sup>);
- 3) განისაზღვროს გვერდითი დრეჩოს სიდიდე პუანსონისა და მატრიცას შორის;
- 4) განისაზღვროს პუანსონისა და მატრიცას შორის საჭირო გვერდითი დრეჩოს სიდიდე  $Z$ ;
- 5) დადგინდეს ნამზადის მუშა ნახაზით გათვალისწინებული მასალის დროებითი წინადობის ზღვარი  $\sigma_b$ ;
- 6) გაანგარიშდეს ნამზადის ამოჭრისათვის საჭირო ძალა  $P$ ;
- 7) შემოწმდეს რეალურ შტამპში დრეჩოს  $\delta$  სიდიდე და დადგენდეს სხვაობა დრეჩოს რეკომენდირებულ მნიშვნელობასთან.

მაგალითად: ნამზადის დიამეტრია  $d = 26$  მმ, მასალა – სპილენძი, ამოსაჭრელი ფურცლის სისიქე  $S = 0,36$  მ<sup>2</sup> და თუ მასალაში პუანსონის შეჭრის სიდიდეს მხედველობაში არ მივიღებთ, ამოჭრისათვის საჭირო ძალა იანგარიშება ფორმულით

$$P = L \times S \times K \times \sigma_{\text{დრ}}$$

სპილენძისათვის  $\sigma_{\text{ფრ}} = 20 \text{ კგ/მმ}^2$ , შესაბამისად:

$$L = \pi d = 3,14 \times 26 = 81,64 \text{ მმ}$$

$$P = 81,64 \times 0,36 \times 1,2 \times 2,0 \approx 706 \text{ კგძ}$$

მატრიცის ნახვრეტის დიამეტრი იანგარიშება ფორმულით

$$d_{\text{მატ}} = d + 2\delta$$

სადაც  $\delta$  - შტამპის გვერდითი ღრებოს სიდიდეა. იგი დამოკიდებულია მასალის დროებითი წინაღობისა და ფურცლის  $S$  სისქისაგან და შეირჩევა ცხრილიდან. ჩვენი შემთხვევისათვის  $\delta$  უდრის ფურცლის სისიქს 5 – 7 %. კ.ი.

$$\delta = \frac{7 \times S}{100} = \frac{7 \times 0,36}{100} = 0,0252 \text{ მმ}$$

აქედან გამომდინარე მატრიცის ნახვრეტის დიამეტრი იქნება

$$d_{\text{მატ}} = 26 \times 2 \times 0,0252 = 26,05 \text{ მმ}$$

ლაბორატორიაში არსებულ შტამპში მატრიცის დიამეტრია  $= 26,07$ , ხოლო პუანსონის დიამეტრი კი  $= 26,01 \text{ მმ}$ . შესაბამისად გვერდითი ღრებოს იქნება

$$\delta_0 = d_{\text{მატ}} - d_{\text{პ}} / 2 = 26,07 \times 26,01 / 2 = 0,03 \text{ მმ}$$

რაც დასაშვებია.

**ლაბორატორიული სამუშაო № 7**  
**მაღალი სიხშირის დანადგარზე მირჩილვის ტექნოლოგიური**  
**პროცესის შესწავლა**

**1. სამუშაოს მიზანი**

მაღალი სიხშირის დანადგარის მოქმედების პრინციპის გაცნობა და მირჩილვის ტექნოლოგიური პროცესისი შესწავლა.

**2. დაგენება**

- ა. მაღალი სიხშირის დანადგარის მოქმედების პრინციპისა და მისი გამოყენების შესაძლებლობათა შესწავლა;
- ბ. ურთიერთ მისარჩილი ელემენტების მომზადების პრინციპის გაცნობა;
- გ. მაღალი სიხშირის დანადგარის გამართვა.

**3. სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო მოწყობილობა და მასალა**

1. მაღალი სიხშირის დანადგარი მოდ. **ВЧГ 60**;
2. ურთიერთ მისარჩილი მასალები;
3. სახები ჩარხი;
4. მირჩილვისათვის საჭირო ფლუსი და გერცხლის სარჩილავი ფირფიტები.

**4. მეთოდური მითითებები**

თანამედროვე მანქანათმშენებლომაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა კონსტრუქციისა და დანიშნულების მაღალი სიხშირის დანადგარები. მათი საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს წრთობისათვის დეტალების საჭირო ტემპერატურაზე გახურება, ლითონის გამოდნობა, მჭრელ იარაღებზე კბილების მირჩილვა და ცალკეული ლითონის ელემენტების ერთმანეთთან შეერთება.

მირჩილვის წინ აუცილებელია შესაერთებელი ელემენტების წინასწარი მომზადება, კერძოდ კი მათი გახეხვა ზედაპირიდან სხვადასხვა სახის ნადებების მოსაშორებლად. შემდეგ, მომზადებული ელემენტები უნდა დაიფარონ ფლუსით, მათ შორის ათავსებენ სარჩილავ ფირფიტას, ჩართავენ დანადგარს და


ინდუქტორში მიაწოდებენ მაღალი სიხშირის დენს. რომელიც ახურებს როგორც მისარჩილ ელემენტებს, ასევე ადნობს ფლუსსა და სარჩილავ ფირფიტას. ვერცხლის სარჩილავი მოითხოვს  $680 \div 750^{\circ}C$ -მდე გახურებას, ხოლო თითბერის კი  $900 \div 950^{\circ}C$ .

გახურების საჭირო ტემპერატურა განისაზღვრება ვიზუალურად,  $680 \div 750^{\circ}C$ -ზე გახურებისას ფოლადი ღებულობს მწიფე შვინდის ფერს, ხოლო  $900 \div 950^{\circ}C$ -ზე გახურებისას კი კაშკაშა დია წითელ ფერს.


## 5. სამუშაოს მსვლელობა

განვიხილოთ დისკურ ხერხზე კბილების მირჩილვის ტექნოლოგიური პროცესი.

ა. გაიხეხოს დისკური ხერხის პერიფერიული ზედაპირი. ნახ. 1.




ნახ. 7.1. დისკური ხერხის პერიფერიული ზედაპირის ხეხვა



ნახ. 7.2. კბილების მისარჩილი ზედაპირების ხეხვა

- ბ. გაიხეხოს კბილების მისარჩილი ზედაპირები. ნახ. 7.2;
- გ. დამაგრდეს დანალგარზე ხერხი;
- დ. დაიფაროს ფლუსით ხერხის და კბილის გახეხილი ზედაპირები;
- ე. ჩაიდგას კბილი ბუდეში, დაედოს გერცხლის სარჩილავი ფირფიტა და მიეჭიროს ხერხს მისარჩილ მონაკვეთზე;
- ვ. ჩაირთოს მაღალი სისშირის დანალგარი, რომლის გენერატორის სტაბილური მუშაობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია 20-25 წუთით ადრე ჩაირთოს გაციგების სისტემა. ნახ. 7.3.



ნახ. 7.3. კბილების მირჩილვა

- ზ. ჩაირთოს მაღალი სიხშის დენის ინდუქტორი და გახურდეს მისარჩილი ელემენტები საჭირო ტემპერატურაზე. სარჩილავი ფირფიტების გადნობის შემდეგ გამოირთოს ინდუქტორი და 15-20 წამის განმავლობაში კბილი და ხერხი გაჩერდეს ურთიერთ მიჭერილ მდგომარეობაში;
- თ. მოიხსნას დამჭერი და შემოწმდეს კბილის მირჩილვის ხარისხი.
- ი. ყოველი შემდგომი კბილის მისარჩილად უნდა განმეორდეს ზემოთ აღწერილი პროცესი.

**ლაბორატორიული სამუშაო № 8**  
**ნამზადების მიღება წნევითი ჩამოსხმით**

**1. სამუშაოს მიზანი**

ნამზადის წნევითი ჩამოსხმით მიღების ტექნოლოგიური პროცესის შესწავლა.

**2. დავალება**

- ა. წნევითი ჩამოსხმისათვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობის გაცნობა.
- ბ. მასალის მომზადება ჩამოსასხმელად.
- გ. მოწყობილობის გამართვა ჩამოსასხმელად.

**3. სამუშაოს ჩატარებისათვის საჭირო მოწყობილობები**

- ა. ჰიდრავლიკური წნები
- ბ. ნამზადის მისაღები წნებეფალიბი
- გ. მასალის გამოსადნობი მოწყობილობა.
- დ. ტემპერატურის საზომი ხელსაწყო

**4. მეთოდური მითითებები**


წნევის ქვეშ ჩამოსხმა გამოიყენება მსხვილსერიულ და მასობრივი წარმოების პირობებში, რაც აიხსნება წნებეფალიბების დამზადების სირთულითა და შესაბამისად მათი მაღალი ღირებულებით.

ამ მეთოდით მიიღება ნამზადები პლასმასებისა და ფერადი ლითონებისაგან. შავი ლითონების ჩამოსასხმელად ეს მეთოდი არ არის რეკომენდირებული, ვინაიდან ამ მასალების დნობის მაღალი ტემპერატურის გამო წნებეფალიბები სწრაფად გამოდიან წყობიდან.

თანამედროვე მანქანათმშენებელ ქარხნებში გამოიყენება ორი ტიპის წნევითი ჩამოსხმის დანადგარი: ცხელსაკნიანი და ცივსაკნიანი. განსხვავება მათ შორის

ისაა, რომ ცხელსაკნიან დანადგარში ლითონის გამოდნობა თვით ამ დანადგარშივე წარმოებს, ციგსაკნიანში კი ცალკე მდგარ დანადგარ-ღუმელში.

წნებყალიბი შედგება ორი ნახევრისაგან (ნახ. 8.1). ქვედა ნახევარი— 2 დამაგრებულია ჰიდრავლიკური წნების მაგიდაზე. მეორე ნახევართან— 1 კი მიერთებულია მასალის გამოსადნობი კამერა— 3, კამერის შიგნით არსებულ ტემპერატურის ზომას მასში ჩასმული თერმოწყვილი— 6. ტემპერატურის მნიშვნელობა აღინიშნება მზომი ხელსაწყოს— 9 შკალაზე.



**ნახ.8.1. ნამზადის მიღება წნევითი ჩამოსხმით**

როდესაც დადგინდება, რომ მასალა მთლიანადაა დამდნარი, ჩართავენ ჰიდრავლიკურ წნებს. დგუშის— 4 საშუალებით გამდნარ მასალას მაღალი წნევის ქვეშ აწოდებს წრებყალიბს მუშა არეში— 7. როდესაც ჰიდრავლიკური წნების მანომეტრის ისარი მკვეთრად გადაიხრება და გვიჩვენებს წნევის მომატებას, საჭიროა შეწყდეს დგუშის შემდგომი გადაადგილება.

მცირე დაყოვნების შემდეგ, რაც აუცილებელია ჩამოსასხმელი ნამზადის გასამყარებლად, დგუშს ამოსწევენ სადნობი მოწყობილობიდან, ხსნიან წნეხყალიბს და ამოაქვთ ჩამოსხმული ნამზადი.

##### **5. სამუშაოს მსვლელობა**

- ა. ჩაიყაროს საჭირო რაოდენობის მასალა გამოსადნობ მოწყობილობაში.
- ბ. დაიდგას წნეხყალიბი გამოსადნობი მოწყობილობის ქვეშ.
- გ. ჩაირთოს გამოსადნობი მოწყობილობა ელექტროქსელში და პერიოდულად შემოწმდეს დნობის მიმდინარეობის პროცესი.
- დ. მასალის დადნობის შემდეგ ჩაირთოს დგუშის მიწოდება გამდნარი მასალით ყალიბის შესავსებად.
- ე. ჰიდრავლიკური წნეხის მანომეტრის ისრის მკვეთრი გადახრისთანავე, რაც წნეხყალიბის შევსების მაჩვენებელია, შეწყდეს დგუშის მიწოდება.
- ვ. მცირე დაყოვნების შემდეგ გაიხსნას წნეხყალიბი და ამოღებული იქნას ჩამოსხმული ნამზადი.

## სარჩევი

გვ.

1. ლაბორატორიული სამუშაო № 1  
სხმული ნამზადის კონსტრუქციის ანალიზი  
ტექნოლოგიურობაზე - 3
2. ლაბორატორიული სამუშაო № 2  
ყალიბის სასხმო სისტემის შერჩევა და გაანგარიშება - 7
3. ლაბორატორიული სამუშაო № 3  
ნამზადის მიღება ცენტრიდანული ჩამოსხმით - 13
4. ლაბორატორიული სამუშაო № 4  
ნამზადის მიღება კოკილში ჩამოსხმით - 19
5. ლაბორატორიული სამუშაო № 5  
ნამზადის მიღება კოკილში შტამპვა-გამოჭიმვით - 22
6. ლაბორატორიული სამუშაო № 6  
ნამზადის წარმოება შტამპვა-ამოჭრით - 28
7. ლაბორატორიული სამუშაო № 7  
მაღალი სიხშირის დანადგარზე მირჩილვის ტექნოლოგიური  
პროცესის შესწავლა - 33
8. ლაბორატორიული სამუშაო № 8  
ნამზადების მიღება წნევითი ჩამოსხმით - 37